EaPGREEN
Partnership for Environment and Growth

Programme carried out with the financial assistance of the European Union

# სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (SEA) პრაქტიკული გამოყენება საქართველოში ნარჩენების მართვის სექტორში

## SEA ტრენინგი-სემინარი 2: ეფექტური შეფასება, შემსუბუქება და მონიტორინგი

2015 წლის 21-22 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia

GEO Georgia's Environmental Outlook

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES

UNITED NATIONS ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE

UNEP

UNIDO

EaPGREEN
Partnership for Environment and Growth

Programme carried out with the financial assistance of the European Union

# SEA პროცესი: ძირითადი ელემენტები და აქტორები


გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) საერთაშორისო კონსულტანტები SEA-ს საკითხებში:

დოქტორი მაია გაჩეჩილაძე - ბოჟესკუ

ბ-ნი მიქალ მუსილი


Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia

GEO Georgia's Environmental Outlook

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES

UNITED NATIONS ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE

UNEP

UNIDO

# რა არის SEA

**SEA** სისტემატური & ადრეული *<u>პროცესი</u>*, რომელიც ხორციელდება შემოთავაზებული გეგმების, პროგრამებისა და სხვა სტრატეგიული აქტივობების *<u>გარემოსდაცვითი (& ჯანმრთელობაზე) ზეგავლენის</u>* გასაანალიზებლად და *<u>გადაწყვეტილებების მიღების პროცესში შედეგების ინტეგრირებისათვის</u>*

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNITED NATIONS ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE | UNEP | UNIDO

# SEA-ს ძირითადი ამოცანები

- შემოთავაზებული ინიციატივის გარემოსდაცვითი და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ზეგავლენის ანალიზი
- სავარაუდო უარყოფითი ზეგავლენის შემცირების / სავარაუდო დადებითი ზეგავლენის გაძლიერების ღონისძიებების განსაზღვრა
- დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების / წვლილის გათვალისწინება
- დაგეგმვის წარმმართველების, გადაწყვეტილებების მიმღებებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის ინფორმაციის მიწოდება სავარაუდო ზეგავლენის / პრობლემების თაობაზე

# რისთვის გვჭირდება SEA

- კარგი/მაღალი ხარისხის დაგეგმვის დოკუმენტის მომზადების (ანუ, დაგეგმვა) და განხორციელების ხელშეწყობისათვის
- იმის უზრუნველსაყოფად, რომ მდგრადობასთან დაკავშირებული მოსაზრებები გათვალისწინებული & ინტეგრირებულია დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში
- იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეკონომიკული დაგეგმვა შეესაბამებოდეს გარემოსდაცვით მოთხოვნებსა და პოლიტიკას (მაგ., კლიმატის ცვლილებასთან, ჰაერის ხარისხთან, ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით)

# SEA გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები

- ხორციელდება დაგეგმვაზე პასუხისმგებელი უწყების მიერ
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოიყენება შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე
- ორიენტირებულია ძირითად საკითხებზე
- ახორციელებს ალტერნატივების გონივრული რაოდენობის შეფასებას
- იძლევა ძირითადი დაინტერესებული მხარეებისა & საზოგადოების ჩართულობის სათანადო შესაძლებლობებს
- ხორციელდება ანალიზის სათანადო, ხარჯთეფექტური მეთოდებისა & საშუალებების გამოყენებით
- ცალკეული **SEA მორგებულია** შესაფასებელ გეგმას ან პროგრამას, ითვალისწინებს მის **სფეროს, დაგეგმვის პროცესს, დოკუმენტის სტრუქტურას, სახელმწიფო უწყებებს და სხვა ჩართულ დაინტეერსებულ მხარეებს** და სხვ.

# SEA და EIA (გზშ)

SEA არ არის მეგა გზშ და ის არ უნდა ახდენდეს მის დუბლირებას. იდეალური SEA მოიცავს იმ პრობლემურ სტრატეგიულ საკითხებს, რომელთა ეფექტურად მოგვარება ვერ ხორციელდება პროექტის დონეზე გადაწყვეტილებების მიღებით.

SEA-მ ხელი უნდა შეუწყოს გზშ-ს ეფექტურად გამოყენებას და წარმოადგინოს სახელმძღვანელო მითითებები მომდევნო გზშ-ებისათვის, მაგ.:

- განსაზღვროს **სპეციფიური საკითხები,** რომლებსაც უნდა მოიცავდეს გზშ
- **განსაზღვროს ოპტიმალური ადგილები** (ან "გამოუსადეგარი ადგილები") დიდი ტერიტორიების ფარგლებში
- გამოყოს სხვა პროექტებთან მიმართებაში სავარაუდო **ერთიანი ზეგავლენა,** რაც გათვალისწინებული უნდა იქნას გზშ-ში.

# ტიპიური SEA ეტაპები და ანალიზი

| | |
|---|---|
| სკრინინგი | • საჭიროა SEA, თუ არა |
| სკოპინგი | • რაზე უნდა იყოს SEA ორიენტირებული |
| საბაზისო ანალიზი | • როგორია არსებული მდგომარეობა და სავარაუდო სამომავლო განვითარება გეგმის გარეშე |
| ზეგავლენის შეფასება | • რა არის გეგმასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ზეგავლენა |
| შემსუბუქების ღონისძიებები | • როგორ შეიძლება ზეგავლენის თავიდან აცილება, ან შემსუბუქება |
| SEA ანგარიში | • შედეგებისა და რეკომენდაციების შეჯამება |

კონსულტაციები

SEA შედეგების ინტეგრირება

# SEA ტრენინგი სემინარი 2

**ზეგავლენის შეფასება:**

- სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებული *რისკების, შესაძლებლობების ან/და სავარაუდო ზეგავლენის* განსაზღვრა და შეფასება
- ალტერნატივების შეფასება

**შემსუბუქების ღონისძიებები:**

- ღონისძიებების შემუშავება სავარაუდო უარყოფითი ზეგავლენის *თავიდან არიდების, შემცირების ან კომპენსირებისათვის* და სავარაუდო დადებითი ზეგავლენის გასაძლიერებლად

**მონიტორინგის ღონისძიებები:**

- გარკვეული დროის განმავლობაში გეგმის ან პროექტის განხორციელების სავარაუდო მნიშვნელოვანი ზეგავლენის მონიტორინგის ინდიკატორების განსაზღვრა

ოპტიმალურ შემთხვევაში შედეგები/პროდუქტები (ანუ, შემსუბუქების ღონისძიებები, მონიტორინგის ღონისძიებები) ინტეგრირებული უნდა იქნას შეფასებულ დოკუმენტში

# SEA-ს ძირითადი მონაწილეები (აქტორები)

- **სექტორული უწყებები = დამგეგმავი სააგენტოები**
- **გარემოსდაცვითი და ჯანდაცვის უწყებები**
- სხვა სამთავრობო უწყებები
- კონსულტანტები და ექსპერტები
- საზოგადოება, სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები

EaPGREEN Partnership for Environment and Growth
Programme carried out with the financial assistance of the European Union
OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES
UNITED NATIONS ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE
UNEP
UNIDO
Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia
GEO Georgia's Environmental Outlook

# ვარიანტები SEA-ს განხორციელების უზრუნველსაყოფად

<u>შიდა ორგანიზაციული:</u> თავად გეგმის შემდგენელების მიერ (უმჯობესია, **SEA**-ს ძირითად ეტაპებზე დამოუკიდებელი განხილვით ან აუდიტით)

<u>შიდა ორგანიზაციული, მაგრამ მოშორებით,:</u> იგივე უწყების მოხელეების მიერ, მაგრამ რომლებიც არ იყვნენ ჩართულნი გეგმის მომზადების პროცესში (უმჯობესია, **SEA**-ს ძირითად ეტაპებზე დამოუკიდებელი განხილვით ან აუდიტით)

<u>შიდა ორგანიზაციული და გარე რესურსით:</u> შეფასების გარკვეული ელემენტები / ნაწილები ხორციელდება გარედან (კონსულტანტების, აკადემიური უწყებების, გარემოსდაცვითი უწყებების მიერ), დანარჩენი - შიდა ძალებით

<u>მხოლოდ გარე რესურსით:</u> მთელი **SEA** ხორციელდება გარე რესურსების გამოყენებით, დამოუკიდებელი კონსულტანტების, აკადემიური დაწესებულებების და ა.შ. მიერ

**შეკითხვები ან კომენტარები?**

გმადლობთ ყურადღებისათვის!